



შარეშის

მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი 7(141) 2017 წ. 1-15 აპრილი ფასი 50 თეთრი

გილოცავთ სარეზას, გზობას, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!

იქნის აღსარება

დაუსაბამო და დაუსრულებელი, უხილავი და მიუწვდომელი, უძლეველი და მოწყალე, სიყვარული და სასოებაო ჩვენო, წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ, შემოქმედო ცათა და ქვეყანისაო, - დიდება შენდა. მიუტევე ერსა ჩვენსა პირველი და

უმძიმესი ცოდვა ადამისა - ამპარტავნება. ქედმაღალი ვიყავით და ვართ, ვითარცა ცარიელი თავთა ვინა პურისანი და მარად ვივიწყებთ სწავლებასა ბრძენისა სოლომონისა: „ამპარტავნთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა

მოსცეს მადლი“ (იგავნი 29,23). „დაღუპვას წინ უსწრებს ამპარტავნება, დაცემას - ქედმაღლობა“ (იგავნი 16,18).

უფალო, განგვიკურნე ჩვენ ამ სენისაგან და შეგვიწყალებ ჩვენ.

უფალო შეგვინდე და გვაპატიე შენგან განდგომა და ურწმუნობა, ტაბრებისა და მონასტრების ნგრევა, კლესიის შეურაცხყოფა, მართლმადიდებელი სარწმუნოების



უარყოფა, შეგვინდე უფალო სასულერო პირთა და ბერ-მონაზონთა დევნა და დამცირება. გვაპატიე, ღმერთო, სამშობლოს დაღი და ორგულეობა, კაცთა კვლა, ძმათა სისხლის ღვრა, დედათა მიერ ჩვილთა მუცლად მოწყვეტა.

დიდად გცოდეთ უფალო მრუშებით, მეუღლისა და ოჯახის დაღი, მეძაბოთ. გცოდეთ, უფალო, მშობლების მიმართ უპატივცემულობით, შეურაცხყოფითა და გულგრილობით და დავივიწყეთ გაფრთხილება ესე შენი: „წყველიმც იყოს დედ-მამის შემაგინებელი“ (მეორე სჯული 27,16), - როგორც ბრძანებს მეფე სოლომონი.

გცოდეთ, უფროსების დამცირებით, განკითხვით, გარდაცვლილთა ულოცველობით, მათთა ნაშრომთა და ნაღვაწთა დაუცველობით და დაუფასებლობით.

გცოდეთ არაწმიდა ფიქრით, ცილისწამებით, შურით, მეგობართა მიმართ დაღი, შურით, მრისხანებით, შურისძიებით, სხვისი ქონების მიტაცებით, სიხარბით, ქურდობით, ძალადობით, სიმდიდრის სიყვარულით და მასზე იმედის დამყარებით;

შეგვინდე და გვაპატიე, უფალო: ლითობა, ნარკომანია, მტრობა და ღვარძლი, სხვისი ნაკლისა და ცოდვების განკითხვა, ეგოიზმი, გემოთმოყვარება, პატივმოყვარეობა, ქონებისა და ფულის უაზროდ ფლანგვა, მომხვეჭელობა, გაჭირვებულთა და უსამარებლობა, პირადი განდიდების სურვილი.

ღმერთო მოწყალეო, გცოდეთ უსაქმურობით, დაზარებით, უიმედობით, აღსარებისა და ზიარების გარეშე ცხოვრებით, მკითხავეთა დაჯერებით, ოთხშაბათ-პარასკევს და სხვათა მარხვათა დარღვევით, შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე წირვაზე დაუსწრებლობით, თვითმკვლელობაზე ფიქრით, შეიღების, ახლობლებისა და სხვა ადამიანების წყევლით, ჭეშმარიტი რწმენისა და სულიერების გარეშე შეიღებულად აღზრდით, არაეკლესიური, ამოცხოვრებით და მრავალი სხვა ცოდვით.

ჩვენცა უფალო, შენთა მდაბალთა მსახურთა - სასულიერო პირთა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა შეგვინდე უღირსად მსახურება შენი, შეგვეწიე, შეგვიწყალებ და გვაცხოვნე ჩვენ.

ჰოი, უფალო, მუხლმოდრეკილი გვედრებით ჩვენთა წინაპართა, სრულიად საქართველოსა და ყოველთა ქართველთა სახელით, მკვიდრთა საქართველოსათა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მყოფთა ჩვენთა თანამემამულეთა სახელით, და შეგთხოვთ, მოიხილე ჩვენ ზედა დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცენ უსჯულოებანი და ცოდვანი ჩვენნი. გვასხურე ჩვენ უსუითა და განგსებტაკეთ. შეახე ყოველადწმიდა ხელი შენი სულსა და ხორცსა, გულსა და გონებასა ჩვენსა და განგვწმიდენ ჩვენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II

10 აპრილი საბარეჯოში



„გაზაფხულდება, უეჭველად გაზაფხულდება, რა დააკავებს თავნება აპრილს?!...“
„ვერ გაუძლებენ მოვარდნილ გნებებს და დასკდებიან ატმის კვირტებს“

პეტრე გრუზინსკი

მუნიციპალური გვერდი

საგარეოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რიგგარეშე
სხდომა

საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის
თათბირი



31 მარტი, 2017 წელი

საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ამავე **საკრებულოს თავმჯდომარე შტილინ გუგუნიძე** უძღვებოდა.

სხდომის დღის წესრიგის საკითხზე „საგარეოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა **საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა თინათინ აბაილაშვილმა**. როგორც მან აღნიშნა:

– აღნიშნული დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით გამოყოფილი თანხის დამატებით. იმ შემთხვევაში, თუ საკრებულო მოიწონებს და მხარს დაუჭერს აღნიშნულ პროექტს, საგარეოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდება 2 014 670 ლარით შესაბამისად გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტით 2 014 670 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით 2017 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 2 014 670 ათასი ლარი.

რაც შეეხება ცვლილებებს საგარეოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელში განხორციელდა შემდეგი **ცვლილებები**:

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულებით 2017 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:

- 1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში დაემატა 1 251 932 ლარი; კერძოდ
 - ა) სოფლების **დუზგარამა-თულარის** დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა - 797200 ლარი;
 - ბ) სოფელ **შიბლიანში** მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა - 233246 ლარი;
 - გ) სოფ. **პატარძელში** “შიოს უბანში” გზის მოასფალტება - 201817 ლარი;
 - დ) ქ. **საგარეოში** “ხივარულის ხიდის” რეაბილიტაცია, თამარ მეფის და ერეკლე მეორეს ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა-11049 ლარი;

ე) ქ. **საგარეოში** ერისთავის ქუჩის ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა-8620 ლარი.

2) **განათლების ხარჯებში დაემატა 270264 ლარი**;

კერძოდ, დაფინანსდა **სოფ. ნინოწმინდის** საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

3) **სპორტული მოედნების** მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 492474 ლარი;

კერძოდ, დაფინანსდა ქ. **საგარეოში სტადიონის ტერიტორიის კეთილმოწყობის** სამუშაოები. მთავრობის განკარგულების შესაბამისად ცვლილება მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

რაც შეეხება საკითხს **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან** დაფინანსებული პროექტების 5%-ით თანადაფინანსებისთვის:

1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 64858 ლარია გათვალისწინებული;

2) **განათლების** ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 14225 ლარია გათვალისწინებული;

სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 144262 ლარია გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის თანადაფინანსებისთვის, რაც 22,7%-ს შეადგენს.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსებულ პროექტებს, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 373692 ლარია გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით (95%):

კერძოდ, ქ.საგარეოში “ხივარულის ხიდის” რეაბილიტაცია, თამარ მეფის და ერეკლე მეორეს ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა -209915 ლარი და ქ.საგარეოში ერისთავის ქუჩის ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა - 163777 ლარი.

სულ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის №569 განკარგულების მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნება 597037 ლარი.

მომხსენებელს წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ შეკითხვები მისცეს დეპუტატებმა ნიკოლოზ ნაცველიშვილმა და ივანე ბუკიაშვილმა.

სხდომამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ცისმარ თედიაშვილი**.



4 აპრილი 2017 წელი

საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე **მუნიციპალიტეტის გამგებელი ბიორბი ზნორიშვილი** უძღვებოდა. თათბირის დასაწყისში მან გამგეობის წარმომადგენლებს იმ პრობლემების დასახელება სთხოვა, რომელიც მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში დღის წესრიგში დგას. სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებაში არსებულ ხარვეზებზე ისაუბრეს სოფლების – კაკაბეთის, წყაროსთავის, ბადიაურის, გომბორის გამგეობის წარმომადგენლებმა. პატარძელის, ნინოწმინდის გამგეობის წარმომადგენლებმა კი სოფლებში მოსახლეობის მიერ თვითნებურად წარმოქმნილ ნაგავსაყრელებზე გაამახვილეს ყურადღება. როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სოფლებში დგას ნაგავის ჩასაყრელი ყუთები ე. წ. “ბუნკერები”, მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს აღნიშნული გარშემო, ან სულაც მათთვის სასურველ და “მოსახერხებელ” ადგილებზე თვითნებურად ყრის, რაც ანტისანიტარიის კერად შეიძლება იქცეს ახლო მომავალში. ხაშმის გამგეობის წარმომადგენლის ინფორმაციით, ხაშმის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ახალშენ ვენახებში რწყვის სეზონის დაწყებამდე ე.წ. “ვისკვილის არხის” გაწმენდით სამუშაოების ჩატარება ითხოვა. მზისგულში გრძელდება რიტუალების სახლის კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც შეეხება უდაბნოს, აქ სოფელამდე მისასვლელ საავტომობილო გზის ერთი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები უკვე დაწყებულია, რომელსაც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ანხორციელებს.

თათბირზე საგარეოს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე სამუშაო პროცესებზე ისაუბრა **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯაპახიშვილმა**. როგორც მან აღნიშნა, მარტის გრივადღების გამო მუნიციპალიტეტში დიდი ზარალი მიადგა 1910 კა მიწის ფართობებს. ამის ერთ-ერთ ხელისშემწეობს მიზეზად მუნიციპალიტეტში 90-იან წლებში განადგურებული ქარსაცავი ზოლები დასახელდა. ამიტომ, როგორც მან აღნიშნა, დღეს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მთელი ყურადღება აღნიშნული ზოლების აღდგენისკენაა მიმართული. მან ასევე, ისაუბრა იმ პროგრამაზე, რომელზეც დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა ამახვილებს ყურადღებას საქართველოში მეცხოველეობის განვითარებისთვის.

თათბირზე საგარეოს გამგეობის მუნიციპალიტეტის **განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის** უფროსმა **არჩილ ჯაბაღარმა** გამგეობის წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა – აღირიცხოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამამულო ომის მონაწილეთა მემორიალური დაფები, სკვერები და ეცნობოს მათი მდგომარეობის შესახებ აღნიშნულ სამსახურს.

თათბირის ესწრებოდნენ **საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ზურაბ ივანეაშვილი** და ამავე **გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგე ბამბა ფიქშირეიშვილი**. მათთან შეთანხმებით დაისახა თათბირზე დასმული თითოეული პრობლემის მოგვარების გზები, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში არსებული პრობლემების მოგვარებას.

თათბირის ამავე მუნიციპალიტეტის **გამგებლის მოადგილე ბიორბი რევაზიშვილი** ესწრებოდა.



რვანს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა – 2017

სასელი წყლის ქსელების მოსახერხებლად

აპრილი ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული რამდენიმე სამუშაო ტარდება ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელ რიგ სოფლებში. კონკრეტულად:

1. სოფელ გომბორში – 900 გრძივი მეტრი 40 მმ-იანი პოლიეთილენის მილის მოწყობა და ამ სამუშაოებისთვის ექსკავატორის დაქირავება.
2. სოფელ ხაშში – სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე მოწყობა დამკვეთი, რომლის დაყენების აუცილებლობა გამოწვეულია ობიექტური მიზეზით – აქ წყლის დამკვეთს არ არსებობს გამო კერძო მოსახლეს ეტბორება საკარმიდამო ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი.
3. სოფელ ბადიაურში – ე.წ. “სოკარის წყლის” ცენტრალურ მაგისტრალზე შეკეთდება დაზიანებული 2 წერტილი (ამოიცივლება პოლიეთილენის მილი).
4. სოფელ ნინოწმინდაში – მოხდება სასმელი წყლის ცენტრალურ მილზე დ-90 მმ-იანი მილის ამოცვლა 30 გრძივი მეტრზე.
5. სოფელ ნინოწმინდაში – სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე ამოიცივლება დ-25 მმ-იანი მილი.
6. სოფელ თოხლიაურში – მოეწყობა სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალი, რომლითაც 10-მდე ოჯახი ისარგებლებს სასმელი წყლით.

სოფელ მანავში ვენახების მიმავალი გზა მოიხრევა

მანავის მოსახლეობისთვის, მევენახეობა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა. თუმცა, მკვეთრად დაზიანებული გზების გამო, მრავალი წლის მანძილზე უჭირდათ ვენახებში მისვლა.

შპს „საგარეჯო“ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე გზების მოხრეშვა დაიწყო. გამგებლის წარმომადგენლის, დიმიტრი საბაშვილის ორგანიზებით, სხვა სპეცტექნიკა და სატვირთო მანქანებიც ჩაერთვნენ სამუშაოებში, რამაც მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებას უმოკლეს ხანაში ხელი შეუწყო. თუმცა, სოფელში კვლავ რჩება გადაუდებელი სამუშაოები, რომელთა განხორციელებას შპს „საგარეჯო“ უახლოეს პერიოდში გეგმავს.



სოფელ პატარქულში სტიქიური ნაბავსაყრელის ლიკვიდაცია მოხდა

შპს „საგარეჯო“ პატარქულში მდებარე კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიასთან ახლოს არსებული სტიქიური ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია მოახდინა.



შპს „საგარეჯო“ – გაზაფხული მებურთავს ითხოვს

შპს „საგარეჯოს“ თანამშრომლებს გაზაფხულის პირველ თვეს მნიშვნელოვანი და შრომატევადი საქმიანობის გაწვევა მოუხდათ. მარტი ერთ-ერთი ჭირვეული თვეა თავისი “კარიზებით” – ხან მზიანი, ხან წვიმიანი-თოვლიანი ამინდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში ამინდები შედარებით თბილი და მზიანი იყო. სწორედ ამ მშრალმა ამინდებმა შეუწყო ხელი იმ პრობლემატური საკითხების შპს-ს თანამშრომელთა მიერ მოგვარებას, რომლებიც თითქმის ათეული წლები აწუხებდათ საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის თემებში შემავალი სოფლების მოსახლეობას:

სოფელ **ბიორბიწინდაში** არსებული ხევი გაიწმინდა ნატანისგან, ასევე გაიწმინდა სოფელ **პატარა ჩაილშის** ხევი 200 მეტრ სიგრძეზე; 17 მარტიდან დღემდე (3 აპრილი) მიმდინარეობს ქ. საგარეჯოში არსებული მდინარე თვალთხევის კალაპოტი, რომლის სიგრძე 3 კმ-ზე მეტია და რომლის გაწმენდითი სამუშაოები რამდენიმე წელია კაპიტალურად არ შესრულებულა. გაწმენდითი სამუშაოებთან ერთად მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები;

სოფელ **იორმულანოში** გაიწმინდა 100 მეტრი სიგრძის სარწყავი არხი; სოფელ **პატარქულში** ე.წ. “მრიზიანთ ციხის” ტყიდან მომდინარე წყლისგან დასაცავად გაიჭრა არხი და ტყიდან გამომდინარე წყალს მიმართულება შეეცვალა;

სოფელ **შჯარმაში**, სოფელ **პატარქულში** (ორი) განხორციელდა მოსახლეობისგან სტიქიურად წარმოქმნილი ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია. **ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე** მდებარე საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიებიდან გატანილ იქნა დიდი მოცულობის საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

ქ. საგარეჯოში შეკეთდა წყლის სათავე-ნაგებობასთან არსებული დამბა, სოფელ **მარიამშვართში** შპს-ეს კუთვნილი ტექნიკით განხორციელდა სასმელი წყლის მილის შეკეთება.

ქ. საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩის პირველ ჩიხში მოსწორდა გზა; სოფელ **პატარქულში** მოიხრეშა და მოშანდაგდა კოტორაშვილებისა და ლალიაშვილების საუბნო გზები; ასევე, სოფელ მანავში მოიხრეშა და მოშანდაგდა სასოფლო-სამეურნეო გზები.

გაზაფხული მეტ მზრუნველობას და ყურადღებას ითხოვს. ბუნება იღვიძებს, ზამთრის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან განთავისუფლებას ითხოვს გარემო, საშიშროებას ქმნის ხეები, მდინარეების კალაპოტები, რომელთა მოუწესრიგებლობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, მიმდებარე ტერიტორიებს. . .

შპს „საგარეჯოს“ მიერ ქალაქ საგარეჯოში „თვალთხევის“ გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოები საფუძვლიანად მიმდინარეობს




== არსენ მებოკიშვილი — 105 == კაცი — ლეგენდა

პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში, სსრ კავშირის 17-გზის ჩემპიონი მძიმე წონაში



“მამურობეა ბუნებრივად შეიყვარა ძაბრთველი ფალავანი არსენ მებოკიშვილი თავისი ცხელკონი ტემპერამენტის გამო, ბოლიათი საბარჯოელი მოჭიდავე ძაბრთული სარმით ცელავა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტებს და იოლად იკავებდა გზას ჩემპიონობისკენ. ამ ბამარჯვებათა საძირკველი კვლავდაკვლავ ძაბრთული ზიარობის სწორზომარე იღებები იყო.” (რ. კრიჭინაშვილი “ძაბრთული ზიარობის მატინეაღან”)



ზიარობა სპორტის უძველესი, უბერებელი და უსაყვარლესი სახეობაა, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ყოფილი საბჭოეთის ყველა რესპუბლიკაში და კერძოდ, საქართველოში. იგი შეადგენდა რესპუბლიკის ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს მხარეს — არც ერთი დღესასწაული და ზეიმი ისე არ ჩაივლიდა, მოჭიდავეთა შეჯიბრება რომ არ გამართულიყო.

როგორც ცნობილია, არსენ მებოკიშვილი მკვენახედ მუშაობდა კოლმეურნეობა “საამურ ცხოვრებაში”.

არათუ ახლო-მახლო სოფლებში, არამედ მთელ საქართველოშიც ვერ ნახავდით მეორე ასეთ დევგმირს. სხვებზე ერთი თავით მაღალ, ბრგე, მხარბუკიან არსენს, თითქოს უფალმა დაანათლაო ყველა ის ღირსება, სწორუპოვარ ფალავანს რომ უნდა ჰქონოდა. მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული ქართული ჭიდაობის საიდუმლოებანი — მისი შუაკაურ-

გარეკაურებით, სარმებითა და ცერულე-ბითურთ, რამაც დიდი გავლენა მოახდინა სპორტულ სარბიელზე არსენ მებოკიშვილის ძლევამოსილ გამოსვლებზე.

ეს იყო მრავალნაციადი ათლეტი, სპორტული ჭიდაობის უბადლო მცოდნე, რომელიც ოსტატობით ათი თავით მაღლა იდგა ნებისმიერ მეტოქეზე და თავისი ბრწყინვალე ტექნიკით, ჭიდაობის ყველა სახეობის უზადო ცოდნით საუკეთესო სპეციალისტებსაც კი აოცებდა. ეს იყო კაცი ლეგენდა, რომლის მომრევი არ გამოჩენილა

საერთაშორისო ასპარეზზე. პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის ჩემპიონი. ეს ტიტული მან მოიპოვა 1956 წელს 44 წლის ასაკში.

დასანანი, რომ ეს ლეგენდარული მოჭიდავე შედარებით გვიან გამოჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე — საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა XV ოლიმპიურ თამაშებში, როდესაც არსენა უკვე 40 წლისა იყო.

ეს დარბაისელი, მშვიდი, მხიარული და სულგრძელი დევკაცი, თავისთავადი, ყველასგან გამორჩეული, ძლიერი და გუნდისთვის უწყობად სთესდა სიკეთეს, ყოველთვის მზად იყო მხარში ამოდგომოდა მოყვასს.

ასეთად დაგვამახსოვრდა არსენა. მეგობრები ყოველთვის სიამაყისა და აღტაცების გრძნობით იგონებენ არსენ მებოკიშვილს — ნამდვილ დევგმირს, სიკეთითა და სულგრძელობით გამორჩეულ ადამიანს.

მიხეილ ტინიშვილი, მსოფლიო სამოყვარულო ფედერაციის პრეზიდენტი, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი.



ჩვენი არსენა

„ძაბრთული ჭიდაობა უბრადოდ ჭიდაობა არ არის. ეს — ჭიდაობა-ცეკვა, ჭიდაობა-სიმღერა, ჭიდაობა-ცხოვრებაა. თვით ბუნება კარნახობს მოჭიდავეს იღებებს. როგორც ვაზი ეხვევა საკუთარ ღეროს, ასევე ახვევს ფეხს მოჭიდავე თავის მეტოქეს. მოიქნევს, მიწაზე დასცემს და შეტევის დროს მის ფეხის გულებს მხიარულ მხეს დაანახვევს.

იოსების ერთ-ერთი ვაჟის — ფილოს ფეხის გულები არასოდეს არ დაუნახავთ არც ადამიანებსა და არც მხეს. ღონიერი იყო, მხარბუკ-გაშლილი, საბერველითი მეკრდი ჰქონდა, ზურგს კი, რომ იტყვიან, თვალთ ვერ გასწვდებოდი. ფილო მეკოკიშვილს, როგორც მოჭიდავეს, ორი ნაკლი ახასიათებდა — უზომოდ გულკეთილი და დინჯი იყო, მაგრამ შეიძლება სწორედ ამიტომაც უყვარდა ხალხს თავისი ფალავანი. ასე ხიბლავდა მისი კეთილი დიმილი.

1912 წელს ფილო მამა გახდა. ბიჭს არსენა დაარქვეს. თავის წიგნში „ფალავნების მწკობრში“ არსენ მეკოკიშვილი დაწერს: „პირადად მე არასოდეს მინახავს, როგორ ჭიდაობდა მამანეწი უბნის მოჭიდავეებთან. 5 წლის ვიყავი, ის რომ მოკვდა“...

პაპა იოსებმა არსენს მამის მაგივრობა გაუწია. ძველ მეცხვარეს ბიჭი მთაში დაჰყავდა. მკაცრად და უბრადოდ ზრდიდა. მხოლოდ იშვიათად გადაუსვამდა ხოლმე თავზე ხელს და ეუბნებოდა: „მამას გაეხარა, არსენ, მამას!“ 19 წლის ასაკში არსენ მეკოკიშვილი 90 კილოგრამს იწონიდა და ბევრი ცნობილი მოჭიდავე ჰყავდა დამარცხებულნი. მისმა მეგობრმა საგარეჯოელმა მჭედელმა შალვა გზირიშვილმა, რომელთანაც არაერთხელ უჭიდავია, ურნია თბილისში წასვლა და იქ ნამდვილი მწვრთნელის მოძებნა. თბილისში ნიჭიერ ემაწვილს მასავით თვითნასწავლი სოფლებები ასწავლიდნენ. მისი აღზრდისთვის გარკვეულ შრომას ეწოდნენ გზირიშვილი, ადგიშვილი, თომაშვილი, ხერხეულიძე, ქურხული და კანდელიაკი.

ქართული ჭიდაობა მეკოკიშვილის პირველი სპორტული აკადემია იყო. იგი საქართველოს მრავალგზის აბსოლუტური ჩემპიონი გახლდათ, მაგრამ მან მეორე აკადემიაც გაიარა — საკავშირო. იგი ჭიდაობის სამ სახეობაში გამოდიოდა — თავისუფალში, კლასიკურსა და სამბოში. იგი 1939 წელს კლასიკურ ჭიდაობას სულ არ იცნობდა. 1940 წელს მან პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა იმ სახეობაში, რომელიც ასე ძალიან ჰყავდა მის მშობლიურ ქართულ ჭიდაობას. ომის შემდეგ მეკოკიშვილი სსრ კავშირის უცვლელი ჩემპიონი იყო სამბოში.

რვაჯერ მიიღო ოქროს მედალი. 1945 წლიდან მან ცხრჯერ მოიგო სსრკ-ს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. 1954 წელს მეკოკიშვილმა მოიგო ჩვენი სპორტსმენებისათვის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ტოკიოს ხალიჩაზეც არავინ ადმოწინა 42 წლის კახელი გლეხის სწორი. **მარტო ფინელი ტოსტო კანგასნიემი და ფრთხილი უნგრელი ნორტი ნერენი არსენამ შოთბეფით გააკტრა ხალიჩაზე. ახალგაზრდა ირანელმა მოჭიდავემ ასმედ ვაფაღარმა და შეუპოვარმა თურქმა ირფან ათანმა ქულებით წააგეს.**

შეედი „ლომი“ ბერტიო ანტონსონი ოლიმპიურ ჰელსინკში წაგებისათვის მასთან რვენშის ადუბას შეეცადა. ის მეკოკიშვილზე 10 წლით უმცროსი იყო და გადაწვევითა იმ დონეზე დაეწინა, რომ ქართველს კი არ ებრძოლა ხალიჩაზე, არამედ „ეცურავა“. მოჭიდავეები ამას „ჟანგბადის გადაკეტვას“ ეძახიან. ისე გამოვიდა ორთაბრძოლის დროს, მეკოკიშვილმა იქით „გადაუქვტა ჟანგბადი“ მეტოქეს. არსენაც ძალიან დადღილი იყო მაგრამ ფეხზე მაინც მტკიცედ იდგა, ხოლო ანტონსონმა „ცურვა“ დაიწყო. ასე გასცურა მან ხალში ვერცხლის მედლით.

44 წლის ვეტერანი საბჭოთა კავშირის I სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. არასოდეს, არც ერთ საბჭოთა მოჭიდავეს არ მოუპოვებია ამ ასაკში ქვეყნის უმაღლესი სპორტული წოდება.

არსენ მეკოკიშვილი დაუმარცხებელი წავიდა თავისუფალი ჭიდაობიდან. ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მიმე წონაში ყოველთვის პირველი იყო.

ყველას ახსოვს მეკოკიშვილისეული ცნობილი სარმა. მთავარი საიდუმლო კი იმაში იყო, რომ შემტევი მძღავრად ცელავდა მეტოქის ფეხს. საიდუმლოება მეკოკიშვილის მოქმედებების სინქრონულობაშიც იყო: **მარჯვენა ხელით იგი მოწინააღმდეგის მარცხენა ხელს გლვავდა, მარცხენა ხელით კი მეტოქეს კისერში, ასევე, მარჯვნიდან აწებებდა — ამით მის მარცხენა ფეხს ტვირთავდა. სიმბიძის ცენტრი ამ ფეხზე გადაჰქონდა და ამის მეტე ურტყამდა თავის მარჯვენა ფეხს მოწინააღმდეგეს დატირთული ფეხის კოჭში. ვინ გაუბლებდა, როცა ეს სამივე შემტევი ქმედება ერთიანდებოდა და სინქრონულად ტარდებოდა.**

მასალა მომზადებულია იან ლიშოვის წიგნის „საბჭოლო ხალხის რაიონების“ მიხედვით

სკოლა

სკოლა

კლუბი "საგარეო 2"

სკოლისა და სპორტის ჯანსაღი წესის დასაწესებლად



ძიუდოს სექციების მოსწავლეები არიან. კლუბი თავის წევრებს ოთხშაბათს, 15 საათსა და 30 წუთზე უხსნის კარს (არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტული კომპლექსის დარბაზი). აქ თავიანთ მწვრთნელ-მასწავლებლებთან ერთად ძიუდოსტები სოფლებიდან (მხისგული, ყანდაურა, კაკაბეთი, უდაბნო, გიორგიშინა) და ქალაქ საგარეჯოდან მოიხიარებიან. **მისიზულიან**

რამდენიმე თვეა "ახალ ფაზაში" შევიდა სპორტსმენთა წვრთნა-მომზადება სპორტულ კლუბ "საგარეჯო 2"-ში. როგორც **სპორტული კლუბის** დირექტორმა **ბიბი მასხაია**მ გვითხრა, კლუბი 2016 წელს დაფუძნდა. მისი დამფუძნებლები მასთან ერთად არიან: სოლომონ პავლიაშვილი, გია ხოსიტაშვილი, გივი ონაშვილი, ოთარი მუნიაშვილი, გიორგი მარხვაშვილი, გია აღუაშვილი. კლუბის ძირითად მიზნებს და ამოცანებს შეადგენს სპორტულ სახეობებში მონაწილეობის მიღება საქართველოს, საერთაშორისო ჩემპიონატებსა და სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში. კლუბი თავადაც აწეობს და მონაწილეობს სხვადასხვა სახის სპორტულ, ასევე საქველმოქმედო ღონისძიებებში და ა.შ.

(მწვრთნელი - სოსო ჭიკაძე) აქ ამ დარბაზში ყოველ ოთხშაბათს 12-13 მოსწავლე ვარჯიშობს: თენგიზ ზირაქაშვილი, ნიკა ჩო



კოშვილი, ნიკა ამირეჯიბი, გიგა ჩოკოშვილი, ილია ჯაფარიშვილი, მიხეილ გურგენიძე, ლაშა ოზგელდოვი, ავთანდილ ბეროშვილი; **მანდაშვილიან** (მწვრთნელები - მიხეილ ქურხული და გელა მანძულაშვილი) 10 მოსწავლეა, მათ შორის გარკვეულ წარმატებებს აღწევენ: ლაშა მამულაშვილი, გივი აღუაშვილი, ერეკლე გამეზარდაშვილი; **ბაბაშვილიან** (მწვრთნელი გია მასურაშვილი): საბა ოთიაშვილი, გიგა მასურაშვილი, გიორგი ბორაშვილი, საბა და ვასილ ოთიაშვილები; **შაბანოვან** (მწვრთნელები ირაკლი დადიანი და ლაშა ფირცხელანი): ირაკლი იოსელიანი, გიორგი არდვლიანი, მახარე, იაგო გულბანები, დავით მეშველიანი და ძიუდოსტი გოგონა ნინო გულბანი; **ბიორბივიანი** (მწვრთნელები ბადრი ბასილაშვილი, გონა მეკოკიშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი): დავით კველიშვილი (30 კგ. წონითი კატეგორია), ლევან ღრეული, ნიკა თათრიშვილი, გივი ხოსიტაშვილი, ბექა დიღმელაშვილი, ლუკა დარისპანაშვილი, ლევან კველიშვილი, დავით კველიშვილი (მძიმე წონა), ომარ იობაშვილი, ვასილ, თამაზ და ზურაბ მეკოკიშვილები, ნუგზარ და გიორგი ნაცვლიშვილები, ზურაბ კველიშვილი, გიორგი ჯამალაშვილი, ბექა მასურაშვილი; **საბარეჯოვან** (მწვრთნელი კახა ყორღანაშვილი): როინ ყორღანაშვილი, გოგა და სოსო მელაშვილები, გიორგი მაჩურიძე,



მეტერიალურად: თამაზ გვეგშიძემ, გია მარხვაშვილმა, თენგიზ ოქროცვარიძემ, ოთარ მუნიაშვილმა, ზაზა და ავთო გულიკაშვილებმა, პაატა სონიშვილმა, გია გულისაშვილმა, ნუგზარ ჯაჭვამამ, თემურ გულბანმა, გიზო როტიკაშვილმა, გიორგი ერბოწონაშვილმა, გია ბუღიაშვილმა, ვოგიტა რევაზიშვილმა, ამბროს სამხთუაშვილმა, გივი ონაშვილმა, ბესო მარტიაშვილმა, გია აღუაშვილმა, ილო ქელივიძემ, შპს "ბატონო"-მ (დირექტორი ზურაბ დეკანოზიშვილი), გია ბეჟიაშვილი.

სპორტული კლუბი "საგარეჯო-2"-ის მწვრთნელები და მისი მოსწავლეები ახალ-ახალი წარმატებებისთვის ემზადებიან.

თავისუფალი ჭიდაობა
სამი ფინალი —
სამი ეპროპის
პირველობის
კანდიდატი

25-26 მარტს გურჯაანში ჩატარდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 2002-2003-2004 წლიან მოჭიდავეთა შორის. ასპარეზობაში კახეთის და საქართველოს სხვა რეგიონების მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანების" შესაბამისი სექციის ფალანგებიც, რომელთა ანგარიშზეც სამი საფინალო ორთაბრძოლა და ამდენივე ეპროპის პირველობის "საგარეჯო" მოდის. ჩვენებურ მოჭიდავეთაგან 66 კგ. წონით კატეგორიაში საუკეთესოდ იჭიდავა დავით კუჭუაშვილმა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული გახდა.

საფინალო ორთაბრძოლაში ვიცეჩემპიონის ტიტული და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა 47 კგ. წონით კატეგორიის მოჭიდავემ **ბიბი შურუშვილმა**. ვერცხლის მედალი ასევე, მოიპოვა **თორნიკე ასახაშვილმა** (32 კგ. წ.), **ბიორბი საბინაშვილი** კი ბრინჯაოს მედალოსანი გახდა 38 კგ. წონით კატეგორიაში.

მეოთხედფინალურ შეხვედრამდე წარმატებულად იასპარეზა კიდევ ერთმა ჩვენებურმა ფალანგმა **თორნიკე თულაშვილმა**. მან ამ შეხვედრაში ბოლო წამებზე "წმიდა-აზე" დაიგდო მეტოქე, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაუთვალეს ეს მოგება. შემდეგ, შეჯიბრის გარჩევისას კი ვერაფრით ახსნეს, თუ რატომ მოხდა ასე. ისე, რომ თუ არა მსაჯების ეს "გაუგებრობა", ადვილი შესაძლებელია საგარეჯოს გუნდს (მწვრთნელები რამაზ ასახაშვილი, დავით ბაბუნიძე) ოთხი ფინალისტი, ეპროპის პირველობის კანდიდატი ჰყოლოდა.

დასანანი, რომ ეს ასე არ მოხდა, მაგრამ ჭიდაობის სპეციალისტების აზრით, ეპროპის პირველობის სამი კანდიდატის ერთ ასპარეზობაში გამოვლენა, მართლაც დიდი მიღწევაა თავისუფალი სტილის გარეჯული სკოლისთვის, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ასეთი შედეგი აღარ დაუფიქსირებია.

ბიბი შურუშვილი

25 მარტს ქალაქ ყვარელში ჩატარდა აქაური ფალანგის ჯურხა მათიკაშვილის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში 2004 - 2006 წლიან მოჭიდავეთა შორის. ასპარეზობაში სხვა ძიუდოსტებთან ერთად თავის ძალებს სცდიდნენ აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანების" სხვადასხვა სოფლების ძიუდოსტებით დაკომპლექტებული ნაკრები გუნდის წევრებიც, რომლებმაც ასპარეზობაში შეძლეს ერთი ოქროს და ხუთი ბრინჯაოს სინჯის მედალების მოპოვება. კერძოდ, ტურნირის ჩემპიონი და ოქროს მედალის მფლობელი გახდა 30 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგიშინდის საჭიდაო დარბაზის აღსაზრდელი დავით კველიშვილი.

თავიანთ წინებში მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს **თენგიზ ზირაქაშვილმა** (ს. მხისგული), **თენგიზ მისაშვილმა** (საგარეჯო), **ლაშა მამულაშვილმა** (ყანდაურა).

26 მარტს კი თბილისში ჩატარდა ისილორე მჭედ-

ძიუდო
ორ დღეში ორი ოქრო

იდის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი 2005-2006 წელს დაბადებულ ძიუდოსტთა შორის, რომელშიც ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მოჭიდავეებთან ერთად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობდნენ გიორგიშინდელი ფალანგები (მწვრთნელი გონა მეკოკიშვილი, ბადრი ბასილაშვილი). ამ ასპარეზობაში, ისე როგორც ყვარელში, 30 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა და ოქროს მედალი არავის "დაანება" **დავით კველიშვილმა**, რომელმაც ფინალში დაამარცხა აზერბაიჯანელი მეტოქე და შეძლო ორ დღეში ორჯერ ასულიყო გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ასევე, ჩემპიონი და ოქროს მედალის მფლობელი გახდა მისი თანაგუნდელი **გივი ხოსიტაშვილი** (46 კგ.); ხოლო **ლუკა დარისპანაშვილი**, **ნიკა თათრიშვილი** და **ბექა დიღმელაშვილი** ბრინჯაოს მედალით დაუბრუნდნენ გიორგიშინდელს.

საგარეჯოს სტადიონის რეკონსტრუქცია იწყება

საგარეჯოს სტადიონის რეკონსტრუქციის ტენდერი გამოცხადდა. მასშივე 4 თვეში საგარეჯოს ახალი ხელშეწყობილი სტადიონი ეშენება.



მელოცვა



დაბადების დღეს ვულოცავთ შპს “საგარეჯოს” დირექტორს **სანდრო შტიაშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თავის ღამაზე ოჯახთან ერთად და წარმეტყულებს სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თანამშრომლები

დაბადების დღეს და გაზაფხულის შემობრძანებას ვულოცავთ აიპ “საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტკლუბის მთავარ ბუღალტერს **მარინა (მაია) ჯამახიშვილს**. ვუსურვებთ სიხარულს, სიკეთეს, ბედნიერებას. გვინდა სულ ასეთი ღამაში, ხალისიანი და შენს პროფესიაში წარმატებულ აღამიანად გვეგულეობდე.

თანამშრომლები



გზანი მიწა-წყლისაბი

ეკატერინე ზვიადაური - საბარეჯოელი საბრძოლო ექიმი

37 წლის ეკატერინე ზვიადაური ვაზიანის სამხედრო ბაზაზე პირველი საბრძოლო ბრიგადის საბრძოლო ექიმი. ეკატერინე საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორიდან არის. მისი მოვალეობა სამხედრო ბაზაზე და ომის დროს კოლეგა პაციენტების სამედიცინო დახმარებაა. ეკატერინე ზვიადაური 2008 წლის აგვისტოში ომის მონაწილეა. იგი შვიდი თვის განმავლობაში ერაყში იმყოფებოდა.

როგორც ეკატერინე ზვიადაური ამბობს, ბავშვობიდან უნდოდა სამხედრო პირი გამხდარიყო, თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ (იმის გამო, რომ ქალების კარანტინში მიღება არ ხდებოდა) იძულებული გახდა ეკონომიკურზე ესწავლა. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ კი გომბორის სამხედრო ბაზაზე საქმის მწარმოებლად დაიწყო მუშაობა.

„ბავშვობიდან ვფიცვებოდი, რომ სამხედრო პირი გავხდებოდი. სკოლა რომ დამთავრე გოგონების კარანტინში მიღება არ ხდებოდა, ამიტომ ეკონომიკურზე ჩავაბარე, მაგრამ სამხედრო სამსახურში ყოფნის სურვილი სულ მქონდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გომბორის სამხედრო ბაზაზე საქმის მწარმოებლად დავიწვე მუშაობა. სამ წელიწადში ჩემი ნაწილი თელავში გადავიდა და უსამსახუროდ დავრჩი. ძალიან ვინანე, რომ მეც არ გადავედი. 2005 წელს შესაძლებელი გახდა ქალების მიღება კარანტინში. კრწანისის სასწავლო ბაზაზე გავიარე კარანტინი, რის შემდეგაც სენაკის 21-ე ბატალიონში მოხვდი. 6 თვის შემდეგ, ჩვენი ქვედანაყოფი ერაყში წავიდა და შვიდთვე ნახევარი იქ ვიყავით. სენაკში გავიარე სამედიცინო კურსები და სამედიცინო ოცუელში გადავედი. 2008 წლის აგვისტოს ომში, ცხინვალთან ჩემ მეგობარ ეთერ თოთიაშვთან ერთად საბრძოლო მედიკოსი ვიყავი. დაჭრილები გამოგვეყვავდა ბრძოლის ხაზიდან. 30-მდე დაჭრილი გადავარჩინეთ. მე და ეთერი ჩვენ ქვედანაყოფს გარდა იმისა, რომ სამედიცინო დახმარებას ვუწვევდით, ვამხნევედით. თუ ხარ სამხედრო სამსახურში, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მუდმივად ხარ ძალიან დაძაბულ რეჟიმში. დღისა და ღამის ნებისმიერ დროს, საჭიროების შემთხვევაში შენ ხარ შენი პროფესიის და სამშობლოს სამსახურში“.

ეკატერინე ზვიადაური 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაოჯახდა. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

„კახეთის საინფორმაციო ცენტრი“

ბანათლება კონკურსში გამარჯვებულები ერვენიან ნერის კულტურას



ადგილი. მიხარია ჩემი მოსწავლეების ეს დიდი წარმატება. ამასთან მიხარია ისიც, რომ ეთუნას ინგლისური ენის მასწავლებლობა აქვს თავის პროფესიად არჩეული. ჩვენი სკოლის მეექვსე კლასელმა ღამა ესაიაშვილმა (პედაგოგი მაია ხებრელაშვილი) და მეშვიდე კლასელმა მარი ოთარაშვილმა (პედაგოგი მაია ხაბაზიშვილი) მართლაც კარგ წარმატებას მიაღწიეს.

პედაგოგი ნინო როსტიაშვილი მეცხრე წელია საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლის. საკმაოდ ნიჭიერი და სიახლეების მოყვარული პედაგოგი თავის მოსწავლეებს ახალ-ახალი, ინოვაციური მეთოდებით ინგლისური ენის შესწავლას სთავაზობს. ამერიკელ მოხალისესთან – ბრონვინ ქალაქთან ერთად მან პროექტი შეიმუშავა, რომელიც ამერიკის მხარემ (“მშვიდობის კორპუსი”) ექვსი ათასი ლარით დააფინანსა და დღეს საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ტრენინგ-ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა იმ თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით, რაც ხელს უწყობს აქაურ მოსწავლეებს სრულყოფილად დაეუფლონ ინგლისური ენის შესწავლის ტექნიკას. მათ აღნიშნული თანხით შეიძინეს პრინტერი, პროექტორი, კომპიუტერი, ფანჯრებისთვის ქალუხები, ახალი ავეჯი, ერთი სიტყვით, აქ შექმნეს ყველა პირობა, რომ კლასარეშე ლიტერატურას, რომელიც მათ ამერიკელებისგან საჩუქრად მიიღეს, ყოველდღიურად გაეცნონ, ამაში მათ “წიგნების კითხვის კლუბი” ესმარება, სადაც დაინტერესებული მოსწავლეები ინგლისური სიტყვების სწორად კითხვას, გამოთქმას, აქცენტებს ეუფლებიან.

ახლანახან პედაგოგმა ნინო როსტიაშვილმა მიიღო მიწვევა ინგლისში, როგორც ქართველი ბავშვების ლიდერ-პედაგოგად ინგლისში ერთთვიან სწავლებაზე. იქ ლიდერობასთან ერთად სწავლასაც გააგრძელებს და ახალ სასწავლო წელს ახალი იდეებითა და ცოდნით დაუბრუნდება თავის მოსწავლეებს.

საბარეჯოს პირველი საჯარო სკოლის ამერიკელი მოხალისის ბრონვინ ქალაქანის (“მშვიდობის კორპუსის” წარმომადგენელი) ხელმძღვანელობითა და ინიციატივით შემოქმედებითი წერის (ინგლისურ ენაზე) კონკურსი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ სკოლის მეექვსე კლასიდან დაწყებული მეთორმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეები.
- კონკურსი მარტში ჩატარდა, რომელშიც არამარტო საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ - მასში გასული წლის ასეთსავე სახის კონკურსის რეგიონული და რესპუბლიკური მასშტაბით გამარჯვებული მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ, ამდენად საკმაოდ სერიოზული კონკურსი იყო, - მეუბნება საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის **ინგლისური ენის პედაგოგი ნინო როსტიაშვილი**, - გასულ წელს ჩვენი სკოლიდან ჩემმა მოსწავლემ ფიქრია საგინაშვილმა (ამჟამად მერვე კლასის მოსწავლეა) პირველი ადგილი დაიკავა რესპუბლიკის მასშტაბით და რაოდენ სასიხარულოა, რომ ახლაც მარტში ჩატარებულ კონკურსში ფიქრია უკვე მეორედ იხეიმა წარმატება. ჩემი მოსწავლეებიდან რეგიონის მასშტაბით ნუცა მეზერიშვილმა (მეშვიდე კლასი) მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ეთერ ხებრელაშვილმა (მეშვიდე კლასი) - მესამე

ნუცა კობახიძე პირველი ქართველია, ვინც ბანათლების სფეროში გეილ კელის (Gail P. Kelly) სახელობის სამართაშორისო პრესტიჟული ჯილდო მიიღო

ჯილდო -

სამართაშორისო
ინიშნელობით

ქართველი მეკლავარის სადოქტორო დისერტაცია 2016 წლის საუკეთესო დისერტაციად დასახელდა. **Gail P. Kelly-is** ჯილდოს ნუცა კობახიძეს აშშ-ის საერთაშორისო და შედარებით განათლების საზოგადოების (Comparative and International Education Society (CIES) კომისიამ გადასცა, რომელიც ხუთი ქვეყნის წარმომადგენელი ცნობილი მეცნიერებისაგან შედგება. 1994 წლიდან ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა ინგლისურ ენაზე შესრულებულ სადოქტორო დისერტაციას, რომელიც სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის თემებს ეხება. შერჩევის კრიტერიუმებს შორის არის აკადემიური წარჩინება, ორიგინალურიობა, მეცნიერული სიახლე, კვლევის მეთოდოლოგიის სიზუსტე და დარგის განვითარებაში შეტანილი თეორიული წვლილი. ნუცამ სადოქტორო დისერტაცია 2016 წელს ჰონგ კონგის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე დაიცვა, სადაც შემდგომში განაგრძო მუშაობა.

ნუცა კობახიძეს გეილ კელის სახ-



ელობის ჯილდო ოფიციალურად 2017 წლის 7 მარტს გადაეცა, საერთაშორისო და შედარებით განათლების საზოგადოების ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც აშშ-ში, ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში გაიმართა.

ნუცა საგარეჯოელია. დაიბადა და გაიზარდა გიორგიშინდაში. დედა - მარია ქვლივიძე გიორგიშინდის საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელია. ჰყავს მამა - ვახტანგი და ერთი და - გვანცა.

ნუცა სკოლაში სწავლისას გამოირჩეოდა საოცარი ნიჭიერებით, აქტიურობით. 90-იან წლებში აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ვირის განთიადის“ რედაქციასთან და მოსწავლეების მიერ გაზეთში დაარსებულ გვერდზე „ჯეჯილი“ საინტერესო მოთხრობებს, ნარკვევებსა და სოციალური სახის საგაზეთო სტატიებს სთავაზობდა თავის თანატოლებს...

ნუცა დღეს შემდგარი პიროვნებაა. აქვს თავისი საყვარელი პროფესია და საქმე, რომელსაც თავის ოჯახთან, შვილთან ერთად მშვენივრად უძღვება. წარმატებები ჩვენს ნუცას!

რედაქტორი:
თინათინ ილაური



„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი - 500 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru